ᲕᲐᲚᲘᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲛᲔᲠᲚᲘ ᲛᲔᲣᲪᲐᲛᲔᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢ. ᲓᲐ ᲗᲘᲤ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮ. ᲛᲛᲗᲐ ᲡᲐᲥᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲛᲘᲗ: რედაქტორის—14—76, რედ. მდივნის—88—17, სამეურნეო—10—58, მთა. კონტორის—8—81.

ოთხშაბათი, 12 ივლისი 1933 წ. № 159 (3715)

ᲒᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ღღეს ჩენ ვაქვეყნებთ საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ას დადგენილებას **საშემოდგომო** თესვისათვის მზადების შესახებ. ამ დადგენილებაში ცკა და სახკომსაბჭო იძლევიან წინადადებას, რათა **ახლავე** სათესების დამუშავებასა და მოსავლის აღებასთან ერთად შეუდგეთ შზადებას საშემოდგომო თესვის საჭუშაოთა გეგმიანი ორგანიზაციისათვის. ცკა და სახკომსაბჭო გვაფრთხილებენ რათა სწორედ **ახლავე**, ყოველგვარი დაგვიანებისა და გაჭიანურების გარეშე იქნას დაწყებული **პრაქტიკული მუშაობა** საშემოდგომო თესვისათვის მზადების დარგში.

ჩვენ თავის დროზე გვქონდა აღნიშნული ის მიღწევები, რომელიც მოპოებული იქნა 1933 წლის საგაზაფხულო თესვის და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა დარგში. ფაქტია, რომ საგაზაფხულო თესვა წელს ჩატარდა უფრო ორგანიზებულად, ვიდრე 1931-32 წლებში; ფაქტია, რომ წელს თესვის გეგმების ვადაზე შესრულებასთან ერთად საგრძნობი გარდატეხა მოხდა იმ ღონისძიებათა გატარების მხრივ, რომელთაც უნდა უზრუნველყონ მოსავლიანობის გადიდება და ბოლოს ფაქტია ისიც, რომ წელს თითქმის ყველა რაიონში მარცვლეული, ტექნიკური, ბოსტნეული და სხვა კულტურების მოსავალი გაცილებით უფრო მეტი დაკარგა, **ვინემ წარსული 2-3** წლის განმავლობაში.

რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი, რომ კარგი მოსავლიანობის მიღწევა მიმდინარე წელს (განსაკუთრებით თავთავიან კულტურების დარგში) აგვეხსნა მარტო ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებით, როგორც ამას „ამტკიცებენ“ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები. ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებს უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოსავლიანობის გადიდების დარგში მიღწეული წარმატება წელს ძირითადად უნდა აიხსნას ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესებით, ხვნა - თესვის დროულად (მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში) დამთავრებით, ნათესების წესიერი მოვლით და აგროკულტურულ ღონისძიებათა უფრო მტკიცედ და თანამიმდევრობით გატარებით. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მუშაკები, ერთპიროვნული მეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თითქმის ყველა რაიონებში გადაჭრით ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ წელს მოსავლიანობის გადიდებაში უდიდესი როლი ითამაშა ხვნა - თესვის **ვადაზე** დამთავრებამ, ნათესების მოვლამ და აგროკულტურულ ღონისძიებათა გატარების გაუმჯობესებამ.

აქედან დასკვნა: მობილიზაცია უნდა ვუყოთ მთელ ძალებს ადგილობრივ რესურსებს და საწარმოო საშუალებებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაუძლიერდეს ნიადაგის დამუშავების ხარისხი, დაწესებულ ვადაზე შევასრულოთ საშემოდგომო ხვნა - თესვის გეგმები თითოეულ რაიონში, თითოეულ უბანზე და უფრო ზუსტად და მასსუხისმგებლობით გავატაროთ აგროტექნიკური ღონისძიებანი.

მოსავლიანობის გადიდების დარგში ჩვენ არაბეს თუ არ ამოგვწურავს ჩვენს განკარგულებაში მყოფი შესაძლებლობანი, არამედ არ გაგვიკეთებია იმის მინიმუმიც კი, რისი გაკეთებაც ძალგვიძს. ჩვენ გვაქვს მაღალი და მძლავრი ტექნიკური ბაზა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშაობს 1.500-მდე ტრაქტორი და 27 სამანქანო - სატრაქტორო სადგური მარცვლეულის ყველა ძირითად რაიონებში არსებობენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და მსხვილი საბჭოთა მეურნეობები, რომელნიც შეიარაღებულნი არიან სოფლო სამეურნეო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ყოველ წლიურად იზრდება იმ თანხების რაოდენობა, რომელიც სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებას ხმარდება, ძლიერდება მინერალური სასუქების შემოზიდვა, იზრდება აგროტექნიკური კადრების რაოდენობა და მეურნეობრივად მტკიცდებიან კოლმეურნეობები.

ყოველივე ეს გვაძლევს შესაძლებლობას კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები სოფლის მეურნეობაში და მოვიპოვოთ ახალი სერიოზული გამარჯვებები მოსავლიანობის გადიდების მხრივ.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (მაგ. ქართლში) კარგ მოსავალად სთვლიან თუ ერთ ჰექტარზე მოიკრიბება 50 — 60 ფუთი მარცვლეულის აღება. მაგრამ ეს **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება** მიღწეულად **ჩაითვალოს.** ჩვენს პირობებში ჰექტარზე 50 — 60 ფუთი მარცვლეულის მიღება ეს **ჩამორჩენაა.** წელს გაზაფხულის თესვის კამპანიის განმავლობაში ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ მოსავლიანობით გადიდების მხრივ. საშემოდგომო თესვის კამპანიის მაღალხარისხობრივი მაჩვენებლებით ჩატარებამ შედეგად უნდა მოგვცეს კიდევ ახალი წარმატებანი ამ დარგში.

ყველაფრიდან სჩანს, რომ **მთავარია ხვნისა და განსაკუთრებით თესვის დროზე ჩატარება.** ერთი ფაქტი: ტირიფონის ველზე სოფ. კოდისწყაროში (კასპის რაიონი) 1932 წლის შემოდგომის ნათესი ხორბალი ჰექტარზე მთლიანად დაგლიჯა და წაილო ძლიერმა ქარმა. იმავე ნაკვეთის გვერდით კი სადაც ჯეჯილი ქარმა გააფუჭა, პურის ნათესი ოდნავადაც არ დაზიანებულა. საინტერესო გარემოებაა. ერთი და იმავე ნაკვეთის ერთი ნაწილზე ქარმა ნათესი თითქმის მოსპო, ხოლო მეორე ნაწილზე იქვე, ერთსა და იმავე პირობებში ნათესი არ დაზიანებულა. შემოწმებამ ცხადყო, რომ ის ნაკვეთი, რომელსაც ქარმა ზიანი ვერ მიაყენა, დათესა თავის დროზე და მასასადამე ნათესმა ყინვების დაწყებამდე მოასწრო ფესვების მომაგრება, მეორე ნაკვეთზე კი, სადაც ჯეჯილი ქარმა გააფუჭა, თესვა ვადაზე 15 დღით უფრო გვიან დაამთავრეს. გვიან დათესილს მოუსწრო ცივმა ამინდებმა, ჯეჯილი ვერ მომაგრდა და ის ადვილად წაიღო ქარმა.

თავის დროზე მოხვნას და დათესვას კიდევ მრავალმხრივ აქვს მნიშვნელობა მოსავლიანობის გადიდებისათვის. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა თითოეულ რაიონს და თითოეულ უბანს ჰქონდეს საშემოდგომო ხვნა-თესვის ზუსტად განსაზღვრული ვადები და ის სრულიად ეყოფა ყოველგვარ მიზეზს გარეშე. ცკა და სახკომსაბჭოს დადგენილებით **საშემოდგომო ხვნა ყველა რაიონებში უნდა დამთავრდეს თესვის დაწყებამდე ერთი თვით ადრე.** ეს დირექტივა განუხრელად უნდა გატარდეს ყველა რაიონში, სოფლის კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

შემოდგომის თესვის წარმატებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სათესლე ფონდების **დროულად გამოყოფას და დაჯგუფებას.** ცკა და სახკომსაბჭო უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ **ჯიშიანი თესლის** შეგროვებას და ავალებენ ადგილობრივ ორგანიზაციებს ფართოდ მოაწყონ ჯიშიანი თესლის გადაცვლა ჩვეულებრივ ხორბალზე. ამ ღონისძიებათა მტკიცედ გატარებასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე მასალის გაწმენდას და სუფთა ადგილებში შენახვას.

გარდა ამისა ახლავე უნდა იქნეს დაწყებული გეგმიანი მუშაობა მანქანა - იარღების რემონტისა და გამწევი ძალის ყოველმხრივ მომზადებისათვის. ტრაქტორების რემონტის დროზე დამთავრებასთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული მუშა საქონლის მნიშვნელობის ოდნავი შეოთასებლობა.

გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს კამპანიების მორიგებით წარმოების და შემოდგომის თესვისათვის მზადების „შემედგებისათვის“ გადადების მემარჯვენე ოპორტუნისტულ ცდებს. მხოლოდ ის რაიონი, სასოფლო საბჭო, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა და ერთპიროვნული მეურნეობა შეძლებს საშემოდგომო თესვის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებას, რომელიც სწორად შეათავსებს ერთმანეთთან სოფლის სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა პროცესებს, გეგმიანად და მოფიქრებულად გაანაწილებს ძალებს, ზუსტად აღრიცხავს საწარმოო საშუალებებს და კონკრეტულად უხელმძღვანელებს მინდვრის სამუშაოებს.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. 10 ივლისის დადგენილება

საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს, მოსავლის დამუშავება-გათოხნის და აღების კამპანიასთან ერთად უკვე ეხლავე, ერთი დღის დაუკარგავად, ფართოდ გაშალონ მუშაობა საშემოდგომო თესვისათვის მოსამზადებლად. დაისახონ რა ამოცანად ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს საშემოდგომო თესვის უფრო წარმატებით, ვიდრე ოდესმე, ჩატარებას და ამით კულტურების მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

საქართველოს სახკომსაბჭო და კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას სარეველა ბალახების და სოფლის მეურნეობის მავნებლების, როგორც მოსავლის ყველაზე საშიში მტრების, წინააღმდეგ უაღრესად სერიოზული ბრძოლის ორგანიზაციის აუცილებლობაზე, რათა მათი უსათუოდ მოსპობა უახლოეს დროში მიღწეულ იქნას თანამედროვე აგროტექნიკისათვის ცნობილი ყველა საშუალებით.

ამასთან შეფარდებით, საქართველოს სახკომსაბჭო და კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ მიწსახკომს და რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს საშემოდგომო თესვის გეგმას საფუძვლად დაუდვან შემდეგი ღონისძიებანი:

თესლბრუნვა

შეუდგენ თესლბრუნვის განხორციელებას სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხის, თელავის, საგარეჯოს, ბორჩალოს, ყარიას, ლიუსემბურგის, გორის და სტალინისის რაიონების კოლმეურნეობებში და ყველა საბჭოთა მეურნეობებში.

ნიადაგის მომზადება

1 განსაზღვრულ იქნას თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა, კოლმეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობაში—თუ რა წინამორბედი კულტურების შემდეგ იწარმოებს საშემოდგომო და საგაზაფხულო ტექნიკური კულტურების თესვა (საბრინო და საგვიანო ანეულზე, ნაპურალზე, ნათესი ბალახების შემდეგ, სათოხნი კულტურების შემდეგ და სხვ.). და ამის მიხედვით ჩატარდეს საჭირო ღონისძიებანი ნიადაგის მოსამზადებლად.

2 საშემოდგომო კულტურებისათვის გამოყოფილი ყველა მიწის ხვნა ჩატარდეს ისეთი ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს ყოველ შემთხვევაში თესვის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მაინც და უზრუნველყოფილ იქნას საგვიანო ანეულის ხვნის დამთავრება უახლოეს ვადაში.

3 თავთავიანი პურეულიდან განთავისუფლებულ მიწებზე, რომლებზედაც დაითესება საშემოდგომო პურეული და საგაზაფხულო ტექნიკური კულტურები (ბამბა, ჭარხალი), უშუალოდ პურეულის აღების შემდეგ (იმავე ან ყოველ შემთხვევაში მეორე დღესვე) ჩატარდეს ნაპურალის აოშვა.

4 იმ მიწების ხვნა სრულ სიღრმეზე, რომლებიც დანიშნულია საშემოდგომო პურეულისა და ბალახებისათვის და, რომლებზედაც აოშვა ტარდებოდა, დაწყებულ იქნას ორ—სამი კვირის შემდეგ, ხოლო დანარჩენი მიწების არა უგვიანეს ორი-სამი დღისა მოსავლის აღებიდან.

5 ანეულის, აგრეთვე ნაპურალ მიწის ხვნა, როგორც წესი, ჩატარდეს ღრმად, ამასთან ხვნის სიღრმე სხვადასხვა ნიადაგისათვის ცალკე დაწესდეს.

6 იმ მიწების მზრალად ხვნა, რომლებზედაც დათესილი იყო თავთავიანი პურეული და ბალახები და რომლებიც გამოყოფილია ბამბისა და ჭარხლისათვის, დამთავრდეს არა უგვიანეს სექტემბრის დამლევისა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ხვნის სიღრმე ბამბისათვის არა ნაკლებ 18—20 სანტიმეტრისა და ჭარხლისათვის—არანაკლებ 20 სანტიმეტრისა.

საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების (თავთავიანი კულტურები და სიმინდი), კართოფილის, ბოსტნეულის და სხვ. მიწის მზრალად ხვნა დამთავრდეს არა უგვიანეს ნოემბრის დამლევისა და ყოველ შემთხვევაში სიცივეების დადგომამდე.

7 უზრუნველყოფილ იქნას მთელი მინდვრის ერთნაირი სიღრმით დახვნა, ამასთან აიკრძალოს ნაკვეთებად ხვნა (ველის ფართანასთან ბრძოლის ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევების გამოკლებით), შემოიხნას სარეველების კიღურები გასწვრივ და გასწორდეს ხარვეზები ტრაქტორებით ან ცოცხალი გამწევი ძალით.

8 ანეულზე და ნაპურალ მიწაზე სარეველა ბალახების გაჩენის ან ხნულის მოსვლის დროს, დაუყოვნებლივ ჩატარდეს გაფხვიერება უფრო ამაოშებელი მანქანით (ხოლო საჭიროების დროს ფრთიანი მანქანით), კულტივატორით, „ზიგზაგის“ ფარცხით, აგრეთვე გადახვნის ადგილობრივი იარაღებით (კავი, ჩუთი და სხვ.) იმ შემთხვევებში, როცა სხვა გადამხვნელი იარაღები საკმარისი რაოდენობით არ მოიპოვება, და მიღწეულ იქნას სარეველა ბალახების სავსებით მოსპობა.

9 ჩატარდეს გაფხვიერება უშუალოდ თესვის წინ, ამასთან მიღწეულ იქნას ხნულის სრული დაყოფა და გასწორება; იმ ნაკვეთებზე, სადაც თესვა გაბნევით ჩატარდება, თესვის წინ გაფხვიერებით მიღწეულ იქნას მხოლოდ აუცილებელი დაყოფა, მაგრამ არა ხნულის ზედაპირის გათანასწორება. გაბნევით თესვის დროს თესლის სათანადო სიღრმეში ჩაფლობა მიღწეული იქნას წინასწარი ამ შემდგომი კულტივაციით და ფარცხვით.

10 გასათოხნი კულტურებიდან (სიმინდი, მზესუმზირა და სხ.) განთავისუფლებულ მიწებზე, რომლებიც გამოყოფილია საშემოდგომო პურეულისთვის, ხვნა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ მოსავლის აღების შემდეგ, ამასთან მოსარწყავ მიწებზე ჩატარდეს სავალდებულო ღრმა ხვნა და მიღწეული იქნას ხნულის სრული დაყოფა, თესვის წინ საჭირო დამუშავების ჩატარებით, მინდორი სიმინდისა და მზესუმზირას ღეროების და ძირებისაგან უნდა განთავისუფლდეს ღრმად დახვნის ან ხელით აღების გზით.

11 ჩატარდეს ყველგან სახნავის გაწმენდა ბუჩქნარისაგან, (ამოძირკვა) და ქვებისაგან, ყველაზე უფრო მავნე მრავალწლიანი სარეველა ბალახების ამოთხრა, მიჯნების და გზების კიდურების გათიბვა და მოხვნა, არხების შემოთიბვა და სახნავის მახლობლად მდებარე ცარიელი ადგილების მოთიბვა და დახვნა.

ნაკელის შეტანა

სავსებით გამოყენებულ იქნას მთელი არსებული ნაკელი და შეტანილ იქნას იგი მინდვრად ისეთ ვადებში, რომ იგი არც გაბნეული სახით, არც თავმოყრით არ დარჩეს დაუხნავი ორ-სამ დღეზე მეტს. ნაკელი ბამბის რაიონებში შეტანილ იქნას პირველ ყოვლისა ბამბის მიწებზე, თამბაქოს რაიონებში თამბაქოს მიწებზე და ბოსტნეულის და ჭარხლის რაიონში ბოსტნის და ჭარხლის მიწებზე.

თესვის ვადები დ წესი

1 თესვის დაწყების და დამთავრების ვადები განსაზღვროს თვითეული ნაკვეთისათვის ცალ-ცალკე, იმ ანგარიშით, რომ თესვა ჩატარდეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში და ყველაზე უფრო ხელსაყრელ პერიოდში, რომელიც უზრუნველყოფს გაფხვიერებას პირველი სიცივეების დაწყებამდე და თავთავის მომწიფებას ზაფხულის გვალვების დადგომამდე.

2 უზრუნველყოფილ იქნას მწკრივად თესვის ჩატარება, რაც შეიძლება მეტ ფართობზე, მწკრივად მთესავი მანქანების მთელი არსებული რაოდენობის სრულად გამოყენების გზით, დაწესდეს საშემოდგომო პურეულის თესვის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პურეულის სათანადო სიხშირეს, ჯიშის, ნიადაგის პირობების, თესვის წესების და სხვ. მიხედვით.

საშემოდგომო პურეულის თესვა

1 უზრუნველყოფილ იქნას საშემოდგომო ხორბლის თესვის ჩატარება სასელექ. ჯიშების („ოოპერატორკა“ და „უკრაინკა“), რაც შეიძლება მეტ ფართობზე იმ რაიონებში, სადაც ეს ჯიშები მიჩნეული იქნება საუკეთესოდ ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, ხოლო დანარჩენ ფართობზე თესვა ჩატარდეს მასობრივად შერჩეული გაუმჯობესებული ჯიშებით.

2 ჩატარდეს ხორბლის სასელექციო და ადგილობრივი ჯიშების აკლიმატიზაცია და ფართო საზოგადოებრივი დათვალიერება მოსავლიანობის, მარცვლის ხარისხის, ზამთარგამძლეობის, გვალვაგამძლეობის, ცვენილობის, სად მომწყვიტეთო დაავადების და მავნებლების წინააღმდეგ გამძლეობის და მექანიზაციით დამუშავებისათვის ვარგისობის მხრით უპირატესობათა ცხადსაყოფად.

3 ჩატარდეს საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში სათესლე ნაკვეთების ამორჩევა მცენარეთა და თავთავების უკეთ განვითარების, სარეველა ბალახებისაგან უფრო მეტი სისუფთავის, სოკოთი უფრო ნაკლებად დაავადების და სხვ. ნიშნის მიხედვით, უზრუნველყოფილ იქნას ხარისხოვანი და გადარჩეული თესლის ცალკე გალეწვა და შენახვა, ამასთან არ იქნას იგი შერეული უბრალო მარცვალთან.

4 მოეწყოს ხარისხოვანი თესლის გაცვლა უბრალო მარცვალზე, საქართველოს მეთესლეობის კავშირის, „ზაგატზერნოს“ და საბჭოთა მეურნეობების მეშვეობით აგრეთვე ხარისხოვანი თესლის საკოლმეურნეო ბაზაზორისო გაცვლა უბრალო მარცვალზე.

5 ჩატარდეს თესლის სავალდებულო გაწმენდა წონის და მოცულობის მიხედვით წინასწარ სანიავებელ-დამახარისხებელ მანქანებზე, ხოლო შემდეგ ტრიერებზე და მთელი სათესლე მასალის შეწამვლა საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

6 უზრუნველყოფილ იქნას სათესლე მასალის შენახვა წინასწარ დეზინფექცირებულ ბეღლებში.

7 ჩატარდეს აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში სათესლე მასალის ხარისხის შემოწმება ყველა საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში და ამორჩევით ერთპიროვნულ მეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები და გამწევი ძალა

1 უზრუნველყოფილ იქნას დასახულ ღონისძიებათა გატარება საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაიონებში თავის დროზე შეტანით და მთესველამდე მათი დაყვანით, ტრაქტორების და მისაბმელი იარაღის, ცხენის გამწევი ძალის იარაღის მარცვალ-მწმენდი მანქანების და სხვ. კარგი ხარისხის რემონტით და ამ იარაღების საუკეთესო ექსპლოატაცია მათი მაქსიმალურად გამოყენების, ნიადაგის დამუშავებელი მანქანების, მარცვალმწმენდი მანქანების და სათესი მანქანების სწორად დადგმის გზით.

2 გამოყოფილ იქნას ზაფხულის და შემოდგომის პერიოდში სპეციალური ნაკვეთები მუშა-პირუტყვის საძოვებლად.

3 განაწილებულ იქნას მთელი სატრაქტორო პარკი და მთელი ცოცხალი ძალის არსებული რაოდენობა სხვადასხვა სახის სამუშაოების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილი იქნას საზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოთა მთელი კიკლის (კულტივაცია, თივის აღება, პურეულის აღება და გალეწვა, ნიადაგის მომზადება საშემოდგომო თესვისათვის, მზრალად ხვნა და სხვ.) წარმატებით ჩატარება.

აგროტექპროპაგანდა

გაიშალოს ფართო მუშაობა აგროტექპროპაგანდის დარგში, გამოყენებულ იქნას ამისათვის მასობრივი მუშაობის ყველა ფორმა, დაუმორჩილდეს აგროტექპროპაგანდა საშემოდგომო თესვის კონკრეტულ ამოცანებს ამა თუ იმ რაიონში (თესლბრუნვა, ნიადაგის დამუშავების მეთოდები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება, ბრძოლა სარეველა ბალახების და სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ და სხვ.).

საქართველოს ს.ს.რ. სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ მიწსახკომს არა უგვიანეს ივლისის დამლევისა წარმოადგინოს დასამტკიცებლად საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გაშლილი გეგმა. მიწსახკომმა და რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა, გეგმების შედგენასთან ერთად, დაუყოვნებლივ დაიწყონ საშემოდგომო თესვისათვის მზადების ღონისძიებათა უშუალო განხორციელება სახელდობრ: სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი, ნაპურალის აოშება, საზაფხულო ხვნა საშემოდგომო კულტურებისათვის მზრალად ხვნა საგაზაფხულო ტექნიკური კულტურებისათვის, თესლის გაწმენდა და სხ.

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე — ბ. მგალობლიშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი — ლ. ბერია.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝ Ა ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ახალი სავაჭრო შეთანხმების დასადებად

ლონდონი, 10 ივლისი. დღეს, ნაშუადღევს, ვაჭრობის სამინისტროს შენობაში განახლდება მოლაპარაკება ინგლის - საბჭოთა კავშირის ახალი სავაჭრო შეთანხმების და დების შესახებ, მოლაპარაკება განახლდება იმ მუხლიდან, რომელზეც იგი თავის დროზე შეწყდა. მიღებული ცნობებით, მოლაპარაკება წარმოებს ორ კომისიაში, რომელთაგან ერთი იხილავს სავაჭრო ბალანსის საკითხს, ხოლო მეორე — სხვა საკითხებს, რომლებიც ეხება ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობას. დღეს, ნაშუადღევს, შეს დგება სავაჭრო ბალანსის საკითხზე გამოყოფილი კომისიის სხდომა და ალბათ მიღებული იქნება ზომები მეორე კომისიის სხდომის მოსაწვევად (ადს).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

საბჭოთა დელეგაციის განცხადება

ლონდონი, 10 ივლისი. დღეს მოსკოვის ეკონომიური კონფერენციის პირველ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ბრინის მოადგილემ ამბ. **მეჟლაუმა** საბჭოთა დელეგაციის სახელით გააკეთა კონფერენციის თავმჯდომარეს მაკდონალდს, წერილობითი განცხადება. განცხადებაში ნათქვამია:

„იმის გამო, რომ ამჟამად მუშავდება მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგი უახლოესი დროისა თვის, საბჭოთა კავშირის დელეგაცია აღნიშნავს, რომ საჭიროა დღის წესრიგში შეტანილია ამ დელეგაციის მიერ და რომლებიც, მისი აზრით, განსილულ უნდა იქნან კონფერენციაზე ყოველგვარ პირობებში, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება კონფერენციის მუშაობის უახლოესი პროგრამის მოკლული ის საკითხზე.

ცხადია, რომ კონფერენციის საბოლოო ამოცანას და მიზანს წარმოადგენს არსებული ეკონომიური მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება, წარმოების გაფართოება, რაც გამოწვეულია გადახდის უნარის მკვეთ მოთხოვნილების გადიდებით. მსოფლიო მარაგის რეალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, რასაც შედეგად მოყვება საბოთუმო ფასების გადიდება. ამ თვალსაზრისით, კონფერენციის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხს უნდა წარმოადგენდეს პრობლემა, რაც დაახსნა თავის სიტყვაში საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ლიტვინოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ არსებობს საბჭოთა იმ პირობის გაფართოების შესაძლებლობა განსაკუთრებულ პირობებში, და რომელზედაც ურჩია სხვა დელეგაციებს იმავე გზით და გააშუქონ ის საჭირო ღონისძიებანი, რომელიც საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად.

საბჭოთა დელეგაციის სხვადასხვა გამოსვლებში უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ ეკონომიური თომ, მეთოდების ფორმულირება და შეწყვეტა წარმოადგენს გარანტიას მშვიდობის, რომელიც საჭიროა ინდივიდუალიზმის შესახებ ცნობების წარმოუდგენლობისათვის.

6. გაფრთხილება მიეცეს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობების და ტრესტების ყველა დირექტორს, რომ შემდგომში მოსავლიანობის შესახებ არასწორი ცნობების წარდგენის ცდისათვის, ან ამ ცნობების დროზე წარმოუდგენლობისათვის მათ დაედებათ უსასტიკესი სასჯელი სამართალში მიცემით.

ხ. ხ. რ. კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **იაკოვლევი.**

ᲣᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲡᲘ ᲙᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲒᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲒᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲒᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲪᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1933 წ. 9 ივლისის გრძანება

ვბრძანებ:

1. მოხსნილ იქნას სამუშაოდან, სასტიკი საყვედურის გამოცხადებით, ივანოვის ოლქის სახვითარო მეურნეობის „რიდიოროვო“-ს ტექნიკური დირექტორი ამბ. ბელაიკოვი, რომელმაც შვრიის მოსავალი საბჭოთა მეურნეობაში განსაზღვრა სულ 2,5-5 ცენტნერით, მაშინ, როცა შემოწმებამ ცხადყო, რომ მოსავლიანობა 8,2 ცენტნერზე არა ნაკლებია.

2. მოხსნილ იქნას სამუშაოდან, სასტიკი საყვედურის გამოცხადებით, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქის საბჭოთა მეურნეობის „სუხოდოლსკის“ დირექტორი ამბ. ზიკოვი, რომელმაც წარადგინა ცნობები მოსავლიანობის შესახებ: საშემოდგომო ჭვავის—6,3 ცენტნერი; ხორბლის—3,3 ცენტნერი; მაშინ როცა ამ საბჭოთა მეურნეობაში კომისიის მიერ მოსავლიანობის შემოწმების დროს ნამდვილად დადასტურდა საბჭოთა მეურნეობის მნიშვნელოვნად მეტი მოსავლიანობა. „

3. გამოეცხადოს საყვედური ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა მეურნეობის „ კუბანსკაია სტეპი“-ს დირექტორს ნოეენკოს იმ ათვის, რომ მან საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის შესახებ 15 ივნისისათვის წარადგინა შემცირებული ცნობები—2,3 ცენტნერი, მაშინ, როცა ტრესტის მიერ შემოწმების დროს დადასტურდა, რომ საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა ამ მეურნეობაში საგრძნობლად მაღალია.

4. დაეკვალოს ქვემო-ვოლგის ხარისხოვანი თესლის ტრესტის დირექტორს ამბ. გოლუბევს სამი დღის ვადაში შეამოწმოს ცნობები, მოსავლიანობის შესახებ, წარდგენილი ბალაშევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ამბ. სერგეევის მიერ, რომელმაც გამოიწვია რა შეჯიბრებაში სხვა საბჭოთა მეურნეობანი სახელმწიფოსთვის ჰექტარიდან 9 ცენტნერის ჩაბარებაზე, ხორბლის მოსავლიანობა 15 ივნისისათვის გვირვენა 6,5 ცენტნერის რაოდენობით.

5. გამოეცხადოს საყვედური ურალის ტრესტის დირექტორის ამბ. ტელეშევის და ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქის ტრესტის დირექტორის ამბ. საველიევს მოსავლიანობის შესახებ ცნობების წარმოუდგენლობისათვის.

6. გაფრთხილება მიეცეს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობების და ტრესტების ყველა დირექტორს, რომ შემდგომში მოსავლიანობის შესახებ არასწორი ცნობების წარდგენის ცდისათვის, ან ამ ცნობების დროზე წარმოუდგენლობისათვის მათ დაედებათ უსასტიკესი სასჯელი სამართალში მიცემით.

ხ. ხ. რ. კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **იაკოვლევი.**

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ—ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ

დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ ჩამორჩენა თამბაქოს ნარგავების დამუშავებაში

უდავოა, რომ თამბაქოს ნარგავების დამუშავება საჭარ. მომდინარე წელს გაცილებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წელს, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების განხორციელება თამბაქოს მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლაში გვავალებს მუშაობა ამ მხრივ დაკვირვით ტემპებით გავშალოთ.

პარტიამ მიიღო ყველა ზომები

პარტიული მშენებლობა

სოფლის კომუნისტების საბრძოლო ამოცანაა

მოსავლის უდანაკარგოდ აღება და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებათა პირველ რიგში შესრულება

აი როგორ უნდა მუშაობდენ კომუნისტები

(წრომი, სტალინისის რაიონი)

ბეზენჩუკელი სტუმრები, რომლებმაც დაათვალიერეს მთელი რიგი კოლმეურნეები ამიერ - კავკასიაში, სტალინისის რაიონში ყოფნის დროს ეწვივნენ წრომის კოლმეურნეობას. წრომი მთლიანი კოლექტივიზაციის სოფელია; მან ღირსეულად დაიმსახურა მოწინავე კოლმეურნეობის საპატიო სახელი. ამიტომ საკვირველი როდია, რომ სტალინისის რაიონის ბევრი კოლმეურნეობა წრომის მაგალითით სწავლობს ბრძოლას და გამარჯვებას.

საგაზაფხულო თესვა, რომელიც წარმოადგენდა სოფლის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო შემოწმებას, წრომის კოლმეურნეებმა პარტიული უჯრედის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულეს. თითოეული კოლმეურნე გრძნობს ამ წარმატებას. კოლმეურნეები სამართლიანად ამაყობენ მიღწეული გამარჯვებით; გასული წლის მუშაობის ხარისხი და ტემპი, რომ შეუძლებელია წლევანდელ მუშაობას შევადაროთ, — ეს წრომელმა კოლმეურნეებმა საკუთარი გამოცდილებით დაიხახეს. არც შარშან ყოფილან ჩამორჩენილთა რიგებში, მაგრამ დღეს კოლმეურნეობაში გაცილებით უფრო მტკიცე მდგომარეობაა.

საგაზაფხულო თესვის გეგმა, რომელიც დამუშავებულ იქნა ჯერ კიდევ თებერვლის დამლევს, ცოცხალ საქმედ აქციეს. გეგმით გათვალისწინებული იყო შაქრის ჭარხლის ფართობის 85 ჰექტარზე, დღეს კი წრომის კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლის მწვანე ფითოლი ფარავს 86,5 ჰექტარს. მთლიანადაა შესრულებული ქერის და სიმინდის თესვის გეგმა. ნათესებს თვალის ჩინვით უვლიან. სიმინდის მეორე თიხნა 27 ივნისს დაამთავრეს, შაქრის ჭარხლის მესამე თიხნა მიწურულშია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნათესების დამუშავების მაღალი ხარისხი. წრომის კოლმეურნეები დარწმუნებულნი არიან, რომ გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარიდან ჩაბარებენ 90 ცენტნერს შაქრის ჭარხალს, ნორმაზე 20 ცენტნერით მეტს. წრომის კოლმეურნეობის გამარჯვებას თავისი პატარა ისტორია აქვს. თავიდანვე ძალები სწორად იქნა განაწილებული. წრომის კომუნისტებმა მართებულად შენიშნეს, რომ ძალების განაწილება, მუშაობის მართებული ორგანიზაცია და კონკრეტული ხელმძღვანელობა წყვეტს წარმატების საკითხს. **ბრიგადებს სათავეში ჩაუყენეს საუკეთესო კომუნისტები და შემოწმებული უპარტიო კოლმეურნეობას ჰყავს თავისი აქტივი; ვასო მურჯიკნელი.** მეორე ბრიგადის ხელმძღვანელია. ბრიგადა შაქრის ჭარხლის ფართობზეა მიმაგრებული. ვასო ყოფილი წითელარმიელია. მისმა ბრიგადამ მოიპოვა გარდამავალი დროშა. ბევრი ცდილობს პრეველობა წაართვას მას, მაგრამ დროშა საიმედოთა ხელშია.

№ 3 ბრიგადას ხელმძღვანელობს პარტიის წევრი ამხ. **შაქრო ბერაძე;** ვასო მურჯიკნელის, მისა მურჯიკნელის, სერგო მურჯიკნელის და შაქრო ბერაძის სახით კოლმეურნეობას ჰყავს ბრიგადირების საუკეთესო კადრი, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდა სავაზაფხულო თესვის ფრონტზე.

— ჩვენ ძალიან შეგვიწყო ხელი ბეზენჩუკელების გამოცდილების გამოღებამ — ამბობს კოლმეურნეობათაშორისო უჯრედის მდივანი ამხ. **ვ. კურტანიძე. სტუმრებისაგან ბევრი რამ ვისწავლეთ. მათი წინადადებით ბრიგადაში მოვაწყეთ საინსპექციო ჯგუფები, რომელთაც ევალებათ მუშაობის ხარისხის შემოწმება.** ოთხივე ბრიგადაში გვყავს საინსპექციო, ჯგუფები, მას შედიან ბრიგადირი და დამკვრელი კოლმეურნეები. გასულ წელს ხარისხის შემოწმება ხდებოდა ორ კვირაში ერთხელ—ახლა კი შემოწმებას **ყოველდღიურად** ვახდენთ; ბრიგადები მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ, მუშაობა უკეთ წარმოებს; ბეზენჩუკელმა ამხანაგებმა გვი რჩიეს არა მარტო ბრიგადების, არამედ ჯგუფების მიმაგრება მიწის ნაკვეთებზე; ჩვენ ეს წინადადება მივიღეთ და მაშინვე გავატარეთ. ჯგუფები მიმაგრებულნი არიან ნაკვეთებზე; ისინი პასუხისმგებელნი არიან ყველაფრისთვის, დაწყებული თესვით და მოსავლის აღებით დამთავრებული, ამან გაუთმჯობესა მუშაობის ხარისხი. აბა შეხედეთ ჩვენს მინდვრებს.

ამხ. ვ. კურტანიძე მიგვითითებს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაშლილ ველზე, სადაც ერთმანეთს ცვლიან პური, ქერის, სიმინდის და შაქრის ჭარხლის საუკეთესოდ მოვლილი ნათესები.

წრომის კოლმეურნეობა მზად არის მოსავლის აღებისათვის. 8 ივლისის ერთიანი პარტიული დღისათვის მზადება დაუკავშირეს ნათესების მოვლის და მოსავლის აღების საბრძოლო ამოცანებს. მესამე ბრიგადის პარტორგანიზატორმა ამხ. **ლვინიაშვილმა** განუმარტა ბრიგადის წევრებს პარტდღის მნიშვნელობა და დღის წესრიგში დასმული საკითხები. ბრიგადამ იკისრა კონკრეტული ვალდებულებები, დამკვრელი ტემპებით. გაჩაღდა ინვენტარის შეკეთება: შეაკეთეს სამი ურემი, გააკეთს 4 ახალი, გაუკეთს რემონტი 22 კულს, გამოპრეს ცელები და სხვ. ამ სამუშაოსათვის ბრიგადამ გამოყო საუკეთესო ძალები. 1 ივლისისათვის ყველაფერი მზად იყო.

წრომში გამოიყო ცალკე საკოლმეურნეო უჯრედი პარტიის 7 წევრის და 4 კანდიდატის შემადგენლობით. მოსავლის აღება დაიწყება ამ დღეებში. წრომის საკოლმ. უჯრედმა უნდა გვიჩვენოს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების საუკეთესო ნიმუში.

კ. შეროზია.

ლაფანყურის კოლმეურნეობაში

ლაფანყურის საკოლმეურნეო უჯრედი მოწინავეა მთელ თელავის რაიონში. მისი გამოცდილება უნდა გადაიტანონ სხვა უჯრედებმაც.

ლაფანყურში ცხოვრობენ ფშაველები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან აღმოფხვრილი ძველი ზნეჩვეულებანი და ტრადიციები.

აღნიშნულ კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ინიციატორი და ორგანიზატორი გახდა იოსებ **კარატელი,** რომელიც სათავეში ჩაუდგა სხვა მოწინავე ამხანაგებს კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად.

მიზანი მიღწეული იქნა.

ეს იყო 1928 წლის ნოემბერში, როდესაც კოლმეურნეობა ყველასათვის ახალი საქმე იყო.

პირველ ხანებში კოლმეურნეობაში გაერთიანდა 13 კომლი. ეს რიცხვი თანდათანობით იზრდება და 1930 წელს კოლმეურნეობა უკვე 130 კომლს აერთიანებდა.

კულაკებმა და მათმა დამჭაშებმა თავიდანვე ბრძოლა გააჩაღეს კოლმეურნეობის წინააღმდეგ. მათ **მოჰკლეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე,** მისი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იოსებ **კარატელი.** ამას არ დასჯერდა კლასობრივი მტერი. კულაკებმა: ბიურაშვილმა, ქულეფელმა, მარაულმა, ჩარიშვილმა და სხვებმა, დაიწყეს მავნებლური მუშაობა კოლმეურნეობის დაშლისათვის, საკოლმეურნეო ქონების განადგურებისათვის. ისინი ემუქრებოდენ საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეებს.

სუსტი აღმოჩნდა ადგილობრივი სოფლის პარტიული ორგანიზაცია.

კულაკებმა გავლენა მოახდინეს ზოგიერთ კოლმეურნეზე და იძულებული გახადეს გამოსულიყვნენ კოლმეურნეობიდან. 1930 წელს კოლმეურნეობაში 130 კომლის ნაცვლად დარჩა 46. კლასობრივი მტერი თავს გამარჯვებულად თვლიდა. ის ფიქრობდა, რომ კოლმეურნეობა მთლიანად დაშლებოდა, მაგრამ.... მტერი მოტყუდებოდა.

ლაფანყურის კოლმეურნეობა კი არ დაშლილა, არამედ ბრძოლებში გაკაჟდა და განმტკიცდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია, სოფელ ლაფანყური გადაიქცა მთლიანი კოლექტივიზაციის სოფლად. კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 109 კომლი. კოლმეურნეობას აქვს 600 ჰექტ. ფართობი, აქედან 300 ჰექტ. სათესი ფართობია.

ამჟამად კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობს 187 კაცი და 112 ქალი. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, კოლმეურნეობაში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა.

ფშაველს ქალები ძველებურად გამოწყობილნი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი კუთხური ტრადიცია, მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. **თ. დალაური** გამოშუშავებული აქვს 200 შრომა - დღე; **ნინო მარტიაშვილს** — 185, სალომე **მჭედლიძეს** 195 შრომა - დღე. ასეთ დამკვრელ ქალებს მრავალს შეხვდებით ლაფანყურის კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეთა ყირილობაზე წარმოთქმულ ამხ. სტალინის სიტყვას დაშუშავებასთან დაკავშირებით გაიზარდა ბრძოლა კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის. კოლმეურნეობამ შეიგნო ამხ. სტალინის მითითება.

აღორძინდა კოლმეურნეობა. 1932 წელს კოლმეურნეობაში 130 კომლის ნაცვლად დარია 46. კლასობრივი მტერი თავს გამარჯვებულად თვლიდა. ის ფიქრობდა, რომ კოლმეურნეობა მთლიანად დაშლებოდა, მაგრამ.... მტერი მოტყუდება.

ლაფანყურის კოლმეურნეობა კი არ დაშლილა, არამედ ბრძოლებში გაკაჟდა და განმტკიცდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია, სოფელ ლაფანყური გადაიქცა მთლიანი კოლექტივიზაციის სოფლად. კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 109 კომლი. კოლმეურნეობას აქვს 600 ჰექტ. ფართობი, აქედან 300 ჰექტ. სათესი ფართობია.

ამჟამად კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობს 187 კაცი და 112 ქალი. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, კოლმეურნეობაში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა.

ფშაველს ქალები ძველებურად გამოწყობილნი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი კუთხური ტრადიცია, მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. **თ. დალაური** გამოშუშავებული აქვს 200 შრომა - დღე; **ნინო მარტიაშვილს** — 185, სალომე **მჭედლიძეს** 195 შრომა - დღე. ასეთ დამკვრელ ქალებს მრავალს შეხვდებით ლაფანყურის კოლმეურნეობაში.

უმრავლესობას ჰყავს საკუთარი ცხენი.

კოლმეურნეები შეძლებულნი ხდებიან. კოლმეურნეობას აქვს საკუთარი სახერხი ჩარხანა, სამქედლო და სადურგლო სახელოსნო, საკარე და ყრამატის ჩარხანა, მელორეობის ფერმა — 280 ღორით. ეს ფერმა ჩამოყალიბდა 1931 წელს, მეძროხეობის ფერმა — 203 ძროხით, აქედან 80 მომგები. 1932 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს კონტრაქტაციის წესით ჩააბარა 500 კილო ყველი და 300 კილო კარაქი. კოლმეურნეობას აქვს საკუთარი მეცხვარეობის ფერმა — 1400 სული ცხვარით, აქედან 500 ბატკანი. მიმდინარე წელს გაზაფხულს სახელმწიფოს ჩააბარეს 750 კილო მატყლი. კოლმეურნეობას ჰყავს 170 სკა ფუტკარი და სხვ.

მთელი ეს ქონება ეკუთვნით იმ ფშაველ კოლმეურნეებს, რომელთა წინააღმდეგ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა კლასობრივი მტერი. კოლმეურნეებმა იციან, რომ კულაკებისა და მათი დამჭაშების მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად არაა მოსპობილი. ისინი ახლაც ცდილობენ კოლმეურნეობისათვის ძირის გამოთხრას, მაგრამ კოლმეურნეებს ამის ალარ ეშინიათ, რადგან მათ ხელმძღვანელობენ საუკეთესო კომუნისტები.

კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია საკოლმეურნეო უჯრედი, რომელშიაც გაერთიანებულია პარტიის 8 წევრი და 18 კანდიდატი. საკოლმეურნეო უჯრედი მართლაც სანიმუშოდ მუშაობს; კოლმეურნეობაში 14 საწარმოო ბრიგადაა. ყოველ ბრიგადაში არიან კომუნისტები. პარტიული ძალები სწორადაა განაწილებული. ბრიგადებში გამოყოფილი არიან აგიტატორები, რომლებიც სისტემატიურად მართავენ საუბრებს და კითხულობენ გაზეთებს პარტიისა და ხელისუფლების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შესახებ, ისინი სათავეში უდგანან საწარმოო დავალებათა შესრულების საქმეს.

უჯრედის გარშემო შექმნილია კოლმეურნეთა აქტივი 30 კაცის შემადგენლობით. აქტივთან სისტემატიური მუშაობა წარმოებს. კომუნისტები გვიჩვენებენ დამკვრელობის სასწაულებს. მიმდინარე **წელს იოსებ თარაულს** გამომუშავებული აქვს 224 შრომა-დღე, **წ. ნაყუჩს—134.** ასეთი მუშაობის შედეგად ვადაზე ადრე გადაჭარბებით იქნა შესრულებული საგაზაფხულო თესვის გეგმები. გეგმით სიმინდი უნდა დათესილიყო 30 ჰექტარზე, ფაქტიურად დათესილია 35 ჰექტ. მთლიანად საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულდა 103 პროც.

კოლმეურნეობას ჰყავს 100 სული მუშა საქონელი. საქონლის მიმაგრებულია საწარმოო ბრიგადებზე. ბრიგადები პასუხისმგებელნი არიან მუშა - საქონლის მოვლა - პატრონობისათვის.

პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები ეწევიან კოლმეურნეობაში ფიზიკურად შრომას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიული დღეების ორგანიზაციულად ჩატარებას, 5 — 6 დღით ადრე იწყება მოსამზადებელი მუშაობა, ძირეულ პარტიულ რგოლებში წინასწარ არჩევენ პარტიულ დღეზე დასმულ საკითხების, რაც საგრძნობლად ზრდის კრებაზე დამსწრეთა ამხანაგების აქტივობას პარტდღეს დასმული საკითხების დამუშავიაბაში.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ დროულად დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა მოსავლის აღების კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

— **ჩვენმა კოლმეურნეობამ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 450 ფუთი ხორბალი** — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **კაკაურა.**

მოსავლის აღებასთან დაკავშირებით სახელმწიფოსათვის ვადაზე პურის ჩასაბარებლად ფართოდ გავშალეთ მუშაობა. ჩვენი ამოცანაა კალოდანვე ავიღოთ პური და ჩავაბაროთ სახელმწიფოს. მოსავლის აღების დროს დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით გამოყენებულია ქალთა და მოზარდთა შრომა.

აი რა მიღწევები აქვს ლაფანყურის კოლმეურნეობას.

იქ, სადაც ბოლშევიკური ხელმძღვანელობაა, სადაც კომუნისტური — ფხიზელი თვალი მოქმედობს უზრუნველყოფილია ყველა კოლმეურნეობების ბოლშევიკურ კოლმეურნეობათა გადაქცევა.

არტ. ალიბეგაშვილი

თელავი. 4 ივლისი.

გერმანიის ფაშისტების ანტისაბჭოთა კამპანია

გერმანიის პრესა, რომელიც მოქცეულია ნაციონალ - სოციალისტთა კონტროლის ქვეშ, ამ უკანასკნელ დროს ორგანიზებულად ატარებს ცილისწამებით. აღსავსე სისტემატიურ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „საბჭოთა კავშირში მყოფ გერმანელებისათვის დახმარების გაწევის საბაბით“. ამ კამპანიაში, რომელიც სწარმოებს ნაციონალ - სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ „საზღვარგარეთელ გერმანელთა კავშირი“ და საეკლესიო ორგანიზაციები. პრესა ჯამაგირებს აღნიშნული ორგანიზაციების მოწოდებებს და წერილებს, რომლებიც შეიცავენ ცილისწამებით აღსავსე ცნობებს და ჯორებს „შიმშილისა“ და „საშინელებათა“ შესახებ, რომელშაც, თითქოს, განიცდიან გერმანელები საბჭ. კავშირში. ამ მიზნით, რომ ეს ჯორები ოღნავ მაინც დაამსგავსონ სონ სიმართლეს, „საზღვარგარეთელ გერმანელთა კავშირში“ მოაწყო ბერლინში ამკარა ყალბი წერილების და ყოველგვარი სხვა ყალბი საბუთების გამოფენა. ამ წერილებმა და საბუთებმა უნდა „დაამტკიცონ“ ის მოჩვენებითი „საშინელებანი“, რასაც განიცდიან გერმანელები საბჭოთა კავშირში. ევანგელისტთა ეკლესიის უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა ყველა პასტორს საეკლესიო ღვთისმსახურების დროს გამოიდენ საბჭოთა კავშირში (ადს).

პოლ-გონკური საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

(„იზვესტიას“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 10 ივლისი. პარიზის გაზეთები ათავსებენ გერმანიიდან მიღებულ ცნობებს, რომ გასულ კვირას ბერლინის საგარეუბნო ადგილებში აღმოჩენილ იქნა გვამები. აღნიშნული გვამების მდგომარეობა მოწმობს, რომ აქ ლაპარაკია არა თვითმკვლელობაზე. „წყალში დამხრჩვალთა“ შორის გამოიცნეს ისეთი პირები, რომელთა შესახებაც გერმანიის პრესას არა აქვს უფლება სიტყვა რამე, სახელდობრ რეისტაგის სოც.-დემოკრატ დეპუტატის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, ბრძოლის ტაქტიკის ერთ-ერთი ორგანიზატორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ელექტროფიკაციის გიგანტის რიონჰესის მშენებლობა დამთავრდა

რიონჰესი გამოცდის წინ

1933 წელი უნდა ჩაითვალოს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამრეწველო - სააღმშენებლო ფრონტზე მოპოვებულ დიდ გამარჯვებათა წელიწადად. წელს დამთავრდა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოები და დაიწყო ელექტრომავალთა რეგულიარული ექსპლოატაცია, რაც საგრძნობლად ადიდებს ტვირთ ბრუნვას ამიერ - კავკასიის რკ. გზების ყველაზე უფრო ძნელ უბანზე. წელსვე ამუშავდა აგარის შაქრის ქარხანა, რომელიც პირველია ამიერ - კავკასიაში. ამ ცოტა ხნის წინად ჩვენ ვიდღესასწაულეთ ნატახტარის წყალსადენის დამთავრება, რაც ტფილისის მცხოვრებთათვის წარმოადგენს ხსნას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახლახან ამუშავდა ქუთაისის საკონსერვო ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 23 მილიონ კოლოფ კონსერვს. აღნიშნული ქარხანა საშუალებას მისცემს ქუთაისის და სხვა რაიონების გლეხებს გაასაღონ ხილეული, რომელიც უსარგებლოდ ლპება ბაღებში.

უკვე დამთავრდა მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყის — ზესტაფონის ფერრო - მარგანეცის ქარხნის სამუშაოები და იგი მხოლოდ მოელის დენს რიონჰესიდან. აღნიშნული ქარხანა შემდეგში დიდად შეუწყობს ხელს ქიმიურ მრეწველობის განვითარებას დასავლეთ საქართველოში, რომელსაც აქვს ყველა უპირატესობა სხვა ოლქებთან და რესპუბლიკებთან შედარებით იმის გამო, რომ მოპოვება ქვანახშირი, იაფი ჰიდროენერგია, წყალი და საჭირო ნედლეული.

მაგრამ ყველა ჩამოთვლილი ობიექტი თავისი რეგულიარული მუშაობისათვის მოითხოვს ელექტრო - ენერგიას. სამწუხაროდ, საქართველოში ელსადგურების მშენებლობის ტემპები ძლიერ ჩამორჩება დატვირთვის ზრდას და ამის მეოხებით ჩვენში ელექტროფიკაცია სახალხო მეურნეობის „წამყვან“ დარგად ხდება „წასაყვან“ დარგად. ამ ხარვეზს (ელექტროენერგიის ნაკლებობას საქართველოში) პირველი ორი წლის რამდენამდე შეასებს ახალი გიგანტი — **რიონის ჰიდროელსადგური.**

რიონჰესის დანადგარის სქემა ასეთია:

მოინარე რიონზე, ჭ. ქუთაისის ჯაჭვის ხიდიდან 1,7 კილომეტრის დაშორებით, შენდება კაშხალი, რომელიც ქმნის წყალის 10,37 მ. წნევას დაბალი წყლების დონეზე.

კაშხალს აქვს 4 ფარიანი ხვრეტი, თითოეული ხვრეტის სიგანე უდრის 10,2 მ; რომლებსაც გადაფარებული აქვთ ბორბლებიანი ფარები. ფარიან ხვრეტებს გარდა კაშხალს აქვს სიფონის სხლეტი, რომლის გამტარ - უნარიანობა წამში უდრის 90,0 — 130 კუბ. მ იმის მიხედვით, თუ როგორია ქვემო ბიეფის წყლის დონე, და ტივსაშვები, რომელიც წელიწადში გაატარებს 5.000 ტივს.

სადერივაციო ნაგებობანი იწყება 4 კილომეტრის სიგრძის მქონე გვირაბით, რომელსაც აქვს ელა ანალა სალორის, პლატოზე, 5131 მ. სიგრძისა, 300.000 კუბ. მ. მოცულობის სადღელამისო რეგულირების აუზით. ამგვარად, სადერივაციო არხის საერთო სიგრძე უდრის 9,18 კილომეტრს. სადერივაციო არხის ბოლოში სალორის პლატოს სამხრეთ ფერდობზე მოთავსებულია სანწნეო აუზი, საიდანაც წყალი 2,60 მ. დიამეტრის მქონე ოთხი მილით ეძლევა 4 აგრეგატს. თითოეული ამ აგრეგატის სიმძლავრე უდრის 17.500 კბ. ძალას. ამრიგად, დანადგარის სრული სიმძლავრე შეადგენს 70.000 კბ. ძალას.

სადგურის შენობიდან, რომელიც მდებარეობს რიონის სადგურიდან 1 კილომეტრის მანძილზე ტფილისის მიმართულებით, წყალი, 2154 მეტრის სიგრძის მქონე სადენი არხის მეშვეობით, უერთდება მდ. ყვირილას. სადგურის წყლის მაქსიმალური ხარჯი უდრის 100 კუბ. მ. წუთში, აქედან 75 კუბ. მ. მოდის დერივაციაზე და 25 კუბ. მ. სადღელამისო რეგულირებაზე.

რიონის წყალის ხარჯვის აბსოლუტური მინიმუმი, რასაც ძალიან იშვიათად აქვს ადგილი, შეადგენს 21 კუბ. მ. წუთში და ის ხარჯი მიღებულია სადგურის მუდმივ უზრუნველყოფილ სანუალო სადღელამისო ხარჯად.

წყალის მაქსიმალური კატასტროფიული ხარჯვა უდრის 2300 კუბ. მ. წუთში. წნევა ნეტო სადგურის სრული დატვირთვის დროს შეადგენს 60.96 მ.

ზემოაღნიშნული დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით სადგურის დაწენებული სიმძლავრე შეადგენს 70.000 კბ ძალას ან 47.500 კილოვატს მაღალი ძაბვის სალტეებზე. სადგურის მუდმივ უზრუნველყოფილი სიმძლავრე — 10.270 კილოვატს მაღალი ძაბვის სალტეებზე. ენერგიის წლიური გამომუშავება უდრის 250 მილ. კილოვატსაათს, აქედან მუდმივი ენერგია შეადგენს 90.000.000 კილოვატსაათს.

რიონჰესის ძირითად დატვირთვას, არა მისი სიდიდის და ენერგიის წლიური ხარჯვის რაოდენობის მიხედვით, არამედ მისი საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და საჭიროების გამო, იაც საერთოდ შეიქმნა ჰიდროსადგურის აშენების და ამ მშენებლობის დაჩქარების მთავარი სტიმული, — წარმოადგენს ა.-კ. რკინის გაების სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია.

ჰიდროსადგურის ელექტროენერგიის შემდგომი მთავარ მომხმარებლებს, რომელთა საჭიროებითაც ეკონომიურად იქნა დასაბუთებული ჰიდროსადგურის მშენებლობა, წარმოადგენენ: ჭიათურის სამთომადნო მრეწველობა, მარელისის ავეჯის ფაბრიკა, ტყიბულის ქვენახშირის მაღაროები, ქალაქების ფაბრიკა მდ. ენგურზე, მაუდის ფაბრიკა და ბარაკების წყალქვაბები ქუთაისში, ამ ქალაქების და სოფლების განათების დატვირთვა, რომლებიც მდებარეობენ როგორც ა.-კ. რკინის გზების წევის ქვესადგურების რაიონში — გორი, ხაშური, ზესტაფონი, და სხვ. — ისე ქალაქებისა და სოფლების — ქუთაისი, ჭიათურა, შოროპანი, ხონი, სამტრედია და სხვ.

როგორც ვხედავთ, **რიონჰესი თავისი დატვირთვის მხრივ წარმოადგენს უალრესად საპასუხისმგებლო ჰიდროსადგურს** და ამიტომ მისი მუშაობის უმნიშვნელო შეფერხებაც კი დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას. ამიტომ რიონჰესის ხელმძღვანელი პერსონალი ვალდებულია სათანადოს მომავალი გამოცდის დროს მიიღოს ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ეს გამოცდა ჩატარდეს ზედმიწევნით ზუსტად და საფუძველიანად იქნას გამოსწორებული ყველა ის დეფექტი, რაოლებიც აღმოჩენილი იქნება, რათა სამრეწველო დენის გაშვების შემდეგ არ ექნეს ადგილი რაიმე არასასიამოვნო სიურპრიზებს. ამჟამად საკომშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები იძლევა შემდეგ სურათს:

საკასებით დამთავრებულია კაშხალი, სამივე გვირაბი (საერთო მანძილი — 4 კილომეტრი), სადერივაციო არხი (მანძილი — 5 კილომეტრი), სანწნეო აუზი, ორი სანწნეო მილგაყვანილობა (4-ილან) სადენერატორო სადგური და წყალსაგდები არხი.

პირველი ორი აგრეგატის ამუშავებასთან დაკავშირებული სამონტაჟო სამუშაოები დამთავრდება 25 იელისისათვის ე. ი. იმდროისათვის, როცა დაიწყება ტურბინების გამოცდა მუშაობაში.

გამოცდის გეგმა და ექსპლოატაციის შემდგომი სამუშაოები ასეთია: **14 ივლისს დაიწყება წყალის აწევა კაშხალთან.** ორ - სამ დღეს იწარმოებს კაშხლის მექანიზმების და წყალის ამწევ ნაგებობათა გამოცდა. ამის შემდეგ დაიწყება დერივაციის ჰიდროტექნიკური ნაგებობათა გამოცდა. წყალი გაშვებული იქნება თანდათანობით — დაწყებულ 1 კუბ. მეტრიდან დამთავრებული 5 კუბ. მეტრით წამში. წყალი დერივაციის — სანწნეო აუზის — მილგაყვანილობის და ტურბინების უქმ ჩასაშვებთა მეშვეობით ჩაშვებული იქნება წყალსაგდებ არხში და შემდეგ მდ. ყვირილაში. ყოველივე ამას დაახლოებით ორი კვირა დასჭირდება.

